ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ამომრჩევლებისთვის წარსადგენი ანგარიშის ფორმა

თვითმმართველი ერთეულის დასახელება: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი

მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის სახელი, გვარი: მარინე ბერაძე

მაჟორიტარული ოლქის დასახელება_____

საკრებულოში დაკავებული თანამდებობის დასახელება (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე.

საკრებულოს კომისი(ებ)ის დასახელება, რომლის (რომელთა) შემადგენლობაშიც არის საკრებულოს წევრი - სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია

საკრებულოს ფრაქციის დასახელება, რომლის წევრიც არის საკრებულოს წევრი - ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“

საკრებულოს წევრის არჩევის წესი (მისი წარმდგენი პოლიტიკური სუბიექტის მითითებით, - პროპორციული წესით არსებული წევრის შემთხვევაში, ან მაჟორიტარული ოლქის მითითებით, - მაჟორიტარული წესით არჩული წევრის შემთხვევაში) - მპგ „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ - პროპორციული სიით

საანგარიშო პერიოდი: 2022 წელი

ანგარიშის ტიპი (მორიგი, რიგგარეშე) : მორიგი ანგარიში

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა

1. **სულ საკრებულოს სხდომების რაოდენობა** - 10

საკრებულოს წევრის მიერ საკრებულოს სხდომებზე დასწრება - 7

2. **სულ საკრებულოს კომისი(ებ)ის სხდომების რაოდენობა, რომლის (რომელთა) შემადგენლობაშიც არის საკრებულოს წევრი** : 1

3. **საკრებულოს წევრის მიერ კომისი(ებ)ის სხდომებზე დასწრება** _____

4. **სულ დროებითი სამუშაო ჯგუფის სხდომების რაოდენობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)** --
---

საკრებულოს წევრის მიერ დროებითი სამუშაო ჯგუფის სხდომებზე დასწრება (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ----------

5. **სულ საკრებულოს ფრაქციის სხდომების რაოდენობ:** 10

საკრებულოს წევრის მიერ საკრებულოს ფრაქციის სხდომებზე დასწრება : 7

6 . საკრებულოს წევრის მიერ ინიციირებული საკითხები -

საანგარიშო პერიოდში 14 სხვადასხვა საკითხზე ვიყავი მომხსენებელი საკრებულოს სხდომებზე და წარდგენილი დასამტკიცებელი პროექტების ავტორიც ვიყავი თავად.

საკითხების უმრავლესობა , რომელიც ჩემს მიერ იქნა ინიციირებული წარდგენილია ფრაქცია „ქართული ოცნება- დემოკრატიული საქართველოს" გუნდთან ერთად და საკითხების ნაწილი ინიციირებული გენდერული თანასწორობის მუშაობის ფარგლებში, რაზეც შემდეგ მუშავდება საბიუჯეტო ინიციატივები, ჩემი ერთ-ერთი ინიციატივა ეხებოდა უსახელო ქუჩის სახელდებას.

7. საკრებულოს წევრის მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები :

მონაწილეობას ვიღებ ყველა იმ მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტაში, რასაც მოიცავს საკრებულოს კომპეტენციას საბიუჯეტო, ქონებრივი, სოციალური, კულტურული, ინფრასტრუქტურული, გენდერული თანასწორობის, ახალგაზრდული პოლიტიკის და ა. შ

მათ შორისაა საკითხები:

1) საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2022 წელს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ.

2) ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ.

3) „დაბა ჩოხატაურში ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის ორგანიზების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 10 ნოემბრის N29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

4) „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესახებ“

5) „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“

6) ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის ღონისძიებათა 2022-2023 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ.

7) საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სოფლის მხადაჭერის პროგრამის ფარგლებში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ.

8) ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონების 2022 წლის საპრივატიზაციო ობიექტის ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ.

9) „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირთა რეგისტრაციისაა და მათი დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“

8. საკითხები, რომლებსაც საკრებულოს წევრმა მხარი არ დაუჭირა : ყველა მნიშვნელოვან პროექტს დავუჭირე მხარი რაც მოსახლეობის და მუნიციპალიტეტის ინტერესებს წარმოადგენს.

9. საკრებულოს წევრის მიერ მოქალაქეებთან შეხვედრების რაოდენობა : 8

საკრებულოს წევრის შეხვედრებზე მონაწილე მოქალაქეთა რაოდენობა: 153

10. მოქალაქეებთან შეხვედრისას გამოთქმული ძირითადი საკითხები :

1. ინფრასტრუქტურული საკითხები(მოედნების, სკვერების , გზების მოწყობა წლის სისტემების რეაბილიტაცია)
2. ქალთა ეკონომიკური გაძლიერების კუთხით, დამწყები მეწარმეების დაფინანსება
3. სოციალური პრობლემები
4. საცხოვრებლის არქონა
5. ძალადობის მსხვერპლის დახმარება
6. შშმ პირთა და მათი მშობლების პრობლემები
7. ახალგაზრდების პრობლემები

11. მოქალაქეთა პრობლემებზე საკრებულოს წევრის რეაგირების ფორმები (მათ შორის დადებითად გადაწყვეტილი კონკრეტული საკითხები) :

ყველა პრობლემას წარვუდგენ ფრაქციას, ფრაქციის ხელმძღვანელს და გადაწყვეტილებების მიღება ხდება გუნდურად, პრობლემების გადაწყვეტისას უმრავლესობის მხარდაჭერა მნიშვნელოვანია.

ინდივიდუალური პრობლემების გადაწყვეტა ხდება შესაბამისად საჭიროებიდან გამომდინარე, ხოლო ისეთი საკითხები რომელიც მოთხოვნილია სხვადასხვა ჯგუფების მიერ ეტაპობრივად ხორციელდება, განსაკუთრებით ეს ეხება ინფრასტრუქტურულ საკითხებს.

მოქალაქეთა სხვადასხვა საჭიროებიდან გამომდინარე ვიყენებ კომუნიკაციის სხვადასხვა მეთოდებს პრობლემის გადასაწყვეტად.

12. საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა საქმიანობა:

1. ვარ მუნიციპალიტეტის „პირის მუნიციპალიტეტეტის ტერიტორიაზე ცხოვრების (ყოფნის) ფაქტის დამდგენი კომისიის“ წევრი და 2022 წელს მონაწილეობა მაქვს მიღებული კომისიის 1 სხდომაში.
2. ვარ მუნიციპალიტეტის "გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფისა და ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის ხელშეწყობის" კომისიის წევრი და მონაწილეობას ვიღებ ყველა სხდომაში
3. ასევე ვარ მუნიციპალიტეტის "სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან, კერძოდ მინდობით აღზრდიდან სრულწლოვანობის გამო ამორიცხული 24 წლამდე პირების ფინანსური დახმარების " პროგრამებით გათვალისწინებული თანხის ეფექტურად და მიზნობრივად ხარჯვის უზრუნველსაყოფად შექმნილი სამუშაო ჯგუფს წევრი.

4. აქტიურად ვარ ჩართული ფრაქციულ მუშაობაში, მონაწილეობას ვიღებ მოქალაქეებთან შეხვედრებში და საბიუჯეტო ინიციატივების შემუშავებაში.

5. ვარ გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე

აქტიურად ვარ ჩართული გენდერული თანასწორობის მიმართულებით მუნიციპალიტეტის და საბჭოს მუშაობაში, ვარ არაერთი მნიშვნელოვანი საკითხის ინიციატორი, რაც ქალთა გაძლიერებას ემსახურება მუნიციპალიტეტში სხვადასხვა მიმართულებით. მონაწილეობას ვიღებ ყველა აქტივობასა თუ ტრენინგ/ სემინარებაში რაც ემსახურება ჩემი კომპეტენციებისა და უნარების გაუმჯობესება, რასაც შემდგომში ვიყენებ საქმიანობის განხორციელებისას.

6. ასევე ვარ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭოს წევრი

წელს პირველად დაიგეგმა და განხორციელდა მუნიციპალიტეტში სამოქალაქო ბიუჯეტი, ჩართული ვიყავი ყველა ეტაპზე აქტიურად და მიმაჩნია, რომ ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მექანიზმი და პროექტია, რაც გაზრდის მუნიციპალიტეტის საქმიანობაში მოქალაქეთა ჩართულობას.

7. ვფიქრობ მნიშვნელოვანია და ზოგადად ადგილობრივი თვითმმართველობისთვის შედეგის მომტანია თანამშრომლობა ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან:

ა. აქტიურად ვთანამშრომლობ როგორც საკრებულოს და „ფრაქცია ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ წევრი, ასევე გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, ეროვნულ დემოკრატიულ ინსტიტუტთან (NDI), ჩართული ვარ მათ მიერ განხორციელებულ არაერთ პროექტში, თანამშრომლობისა და ჩემი აქტიური ჩართულობის შედეგად მუნიციპალიტეტში გადამზადებულია 4(ოთხი) მოდერატორი, რომლებმაც უკვე ჩაატარეს 2 (ორი) სხვადასხვა კვლევა ფოკუს-ჯგუფებთან.

ჩართული ვარ პროგრამაში „ლიდერი ქალები ცვლილებებისთვის“ და გავდივარ სატრენინგო პროგრამას.

ჩართული ვარ საბიუჯეტო პროცესების მიმდინარეობაში და ვმონაწილეობ საბიუჯეტო ინიციატივების წარდგენაში.

ბ. ასევე აქტიურად ვთანამშრომლობ დემოკრატიული ჩართულობის ცენტრების ქსელებთან, ვმონაწილეობ მათ პროექტში „თემის გაძლიერება გენდერული თანასწორობისთვის“, გადამზადებული ვარ ტრენერად და ვატარებ ტრენინგებს სხვადასხვა თემებში.

გ. ვთანამშრომლობ სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტთან, ვმონაწილეობ სხვადასხვა სამუშაო შეხვედრებში, რომელიც ეხება მუნიციპალიტეტის თვითშეფასების ინდექსს და ბენჩმარკინგის სამოქმედო გეგმის შემუშავებას, რომელიც მიზნად ისახავს მოქალაქეთა მონაწილეობის ხარისხის გაუმჯობესებას მუნიციპალიტეტში.

დ. აქტიურად ვიყავი ჩართული მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შექმნის პროცესში და გადამზადებული ვარ სააგენტოს მიერ მუნიციპალურ კოორდინატორებად მასიური ღია ონლაინ კურსით (MOOC) .

ე. მონაწილეობა მივიღე პარტნორობა განათლებისა და კომუნიკაციის მიერ გამოცხადებულ კონკურსში და გავიარე ტრენერთა ტრენინგი, რომელიც მოიცავს ტრენინგებს ადგილობრივ ქალებთან შრომითი მიგრანტების რეინტეგრაციისა და შრომითი უნარების გაძლიერებისთვის.

8. საანგარიშო პერიოდში სისტემატიურად ვმონაწილეობდი საკრებულოს თავმჯდომარის, მიერ მოწვეულ თათბირებში. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერის ორგანიზებულ სამუშაო ჯგუფების შეხვედრებში, სამუშაო შეხვედრებსა და კონსულტაციებში. ასევე საანგარიშო პერიოდში სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ ტრენინგ-სემინარებში.

9. ჩემი ხელმძღვანელობით, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა კომისიიდან მომზადდა და ინიციატივები საკრებულოს წარედგინა დასამტკიცებლად სხვადასხვა გეორგაფიული ობიექტების სახელდების შესახებ.

10. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის განხილვისას ვარ აქტიურად ჩართული და უშუალოდ სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიიდან გაიგზავნა კონკრეტული შენიშვნა-რეკომენდაციები, რომლთა უმრავლესობაც აისახა 2022 წლის ბიუჯეტში.

13. საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობებით მიღებული შედეგები :

1. მუნიციპალიტეტში დანერგილია რამდენიმე მუნიციპალური სერვისი, რომელიც ემსახურება გენდერული უთანასწორობის აღმოფხვრის ხელშეწყობას, მათ შორისაა:

ა)გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფისა და ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის ხელშეწყობის მუხლი ითვალისწინებს რამდენიმე მიმართულებას:

ბ)ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა/ბენეფიციართა ფულადი დახმარება, რომელიც ითვალისწინებს ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა რეაბილიტაციისთვის აუცილებელ საჭიროებათა დაფინანსებას; ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი ერთ-ერთი პირველია, რომელმაც ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დახმარების პროგრამა დანერგა.

გ) ძალადობის წინააღმდეგ კვირეულის ფარგლებში (25.11.2022-10.12.2022 წწ) ძალადობის აღმოფხვრის ხელშემწყობი ღონისძიებების დაფინანსება.

დ)ქალთა ეკონომიკური გაძლიერების ხელშესაწყობად წარმოდგენილი პროექტების დაფინანსება/თანადაფინანსება, რომლითაც ისარგებლა რამდენიმე დამწყებმა მეწარმე ქალმა.

2. გენდერული თანასწორობის საბჭოს ხელშეწყობით უშუალოდ ჩემი ჩართულობით მუნიციპალიტეტში შეიქმნა სოფლებში ქალთა საინიციატივო ჯგუფები, რომლებიც აქტიურად თანამშრომლობენ საბჭოსთან, მათი ინიციატივით და საბჭოს ხელშეწყობით არაერთი ღონისძიება ჩატარდა გენდერულ თემატიკაზე;

3. გენდერული ცნობიერების ამაღლების მიზნით საბჭო პერიოდულად ატარებს შეხვედრებს და დისკუსიებს სხვადასხვა მოწყვლად ჯგუფებთან.

4. ჩემი უშუალო ჩართულობით საბჭოს მიერ შემუშავებულ იქნა მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2022-2023 წლის ღონისძიებათა სამოქმედო გეგმა.

5. 2021 წელს წარდგენილი საბიუჯეტო ინიციატივა სოფელ ბუკნარაში თანასწორობის ცენტრის გახსნასთან დაკავშირებით განხორციელებულია.

14. ინფორმაცია საკრებულოს წევრის შემდეგი საანგარიშო პერიოდის ძირითადი პრიორიტეტების შესახებ :

ჩემთვის ძირითადი პრიორიტეტს წარმოადგენს ჩვენი მოქალაქეები, მათი სოციალური თუ ინფრასტრუქტურული პრობლემების მოგვარება, განსაკუთრებით ქალთა გაძლიერება სხვადასხვა მიმართულებით, როგორც ეკონომიკურად ასევე მათი უფლებების დაცვა, გენდერული უთანასწორობის აღმოფხვრის ხელშეწყობა და სხვა, რაც შესაძლებელია განვახორციელო როგორც ადგილობრივი თვითმართველობის წარმომადგენელმა ჩემს გუნდთან ერთად.

ანგარიშის მომზადების თარიღი 18.10.2022 წელი

ანგარიშის წარდგენის თარიღი 19. 10. 2022 წელი

ხელმოწერა ----------